



2022 წლის წლიური ანგარიში

თანასწორობის მოძრაობა

აღმასრულებელი დირექტორის წერილი

2022 წელს „თანასწორობის მოძრაობა“ 11 წლის გახდა. ამ წლების მანძილზე არსებული მრავალი გამოწვევისა და დაბრკოლების მიუხედავად, „თანასწორობის მოძრაობა“ დღეს ყველაზე დიდ ლგბტქ სათემო ორგანიზაციას წარმოადგენს კავკასიის რეგიონში. ერთი მხრივ, ჩვენი სერვისები ფარავს საქართველოს თითქმის ყველა დიდ ქალაქს, მეორე მხრივ კი ჩვენ ვმონაწილეობთ ყველა იმ მთავარ საადვოკაციო პროცესში, რომელიც ლგბტქ ადამიანებისთვის პოლიტიკური, სოციალური და კულტურული გარემოს ცვლილებას ემსახურება.

„თანასწორობის მოძრაობა“ 2016 წლის შემდეგ ტრადიციულად ინარჩუნებს სამ დიდ და ამბიციურ სტრატეგიულ მიზანს:

- ლგბტქ თემის წარმომადგენლებისა და ქალთა ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- ლგბტქ თემის წევრთა და ქალების მობილიზება და ინტეგრაციის ხელშეწყობა;
- ლგბტქ თემისა და ქალთა გაძლიერებისათვის ხელშეწყობი გარემოს ფორმირება;

2022 წლიდან კი ამ მიზნებს დაემატა მეოთხე:

- „თანასწორობის მოძრაობის“ ინსტიტუციური და ორგანიზაციული გაძლიერება

ახალი სტრატეგიული მიზნის დამატებასთან ერთად ორგანიზაცია დიდ ყურადღებასა და რესურსს უთმობს მის სტრუქტურულ გამართულობას გამჭვირვალების, ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნისა და უსათრთხოების უზრუნველყოფისთვის.

2022 წელს ორგანიზაციამ შეიძინა ახალი პარტნიორები და მხარდამჭერები. მათთან კოლაბორაციით „თანასწორობის მოძრაობამ“ შეძლო მნიშვნელოვანი საადვოკაციო პროცესების ინიცირება და ახალი სტრატეგიული საკომუნიკაციო არხების შექმნა. ამასთან, ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს უკვე არსებულ პარტნიორებთან ურთიერთობების გაღრმავებასა და გაძლიერების მიმართულებით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მე, როგორც „თანასწორობის მოძრაობის“ აღმასრულებელ დირექტორს, მსურს მაძღობა გადავუხადო ორგანიზაციის თითოეულ თანამშრომლესა და მხარდამჭერს მათი დაუღალავი შრომისთვის!

*დავით კახაბერი
თბილისი, 2022*

სარჩევი:

თანასწორობის მოძრაობის 2022 წლის საადვოკაციო აქტივობები - 5

პოლიტიკის დოკუმენტები - 6

2022 წელს განხორციელებული პროექტების ანგარიშები:

1. ლგბტქი+ თემის გაძლიერება ინკლუზიური აღდგენისთვის - 8
2. გაერთიანება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ: ლგბტქი თემის წინააღმდეგ ძალადობის დაძლევა აღმოსავლეთ ევროპასა და კავკასიაში - 14
3. ახალი შესაძლებლობები ლგბტქი დღისწესრიგისთვის საქართველოში - 16
4. თანასწორობის მოძრაობა ძლიერი ლგბტქ თემისთვის - 18
5. ორგანიზაციული უსაფრთხოების გაძლიერება - 23
6. ჟურნალი „ეგალიტე“ – 25
7. ლგბტ ადამიანების ადამიანთა უფლებების გაუმჯობესება საქართველოში - 26
8. აივ ინფექცია/შიდსის პრევენცია და შემთხვევების გამოვლენა ლგბტ თემში - 29
9. აივ ინფექციის პრე-ექსპოზიციური პროფილაქტიკური მკურნალობა (PrEP) მამაკაცებში, რომლებსაც სექსი აქვთ მამაკაცებთან, ტრანსგენდერ ქალებსა და მათ პარტიორებში - 31
10. აივ ინფექცია / შიდსის საკვანძო პოპულაციებისთვის აივ-ზე თვითტესტირების მომსახურების (Selftest) და აივ-პრევენციული პაკეტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა Covid-19 პანდემიის პირობებში - 32
11. აივ ინფექციის პრევენციის ინოვაციური სერვისების საპილოტე მოდელის შემუშავება და დანერგვა, მიმართული ლგბტ+ თემზე, რომელიც მოიცავს PrEP, nPEP და თვითტესტირების სერვისებს - 35

თანასწორობის მოძრაობის 2022 წლის საადვოკაციო აქტივობები

1. სოციალური დაცვის სისტემის ძირითადი გამოწვევები სხვადასხვა დაუცველი ჯგუფებისთვის საქართველოში¹

ანგარიში ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ადმინისტრირებული სოციალური დაცვის პროგრამებისა და სოციალური დაცვის პოლიტიკის კრიტიკაა ქ. თბილისის სოციალური საცხოვრისებში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ექთანი და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და ლგბტქი ადამიანების სოციალური დაცვის უფლების პერსპექტივიდან. ანგარიშზე მუშაობისას თემის წევრებთან ოთხი ფოკუს ჯგუფი ჩატარდა. აგრეთვე, ჩაიწერა ინტერვიუები სათემო ორგანიზაციების სოციალურ მუშაკებთან.

2. დისკრიმინაციისგან დაცვის უფლების განხორციელება სხვადასხვა ჯგუფისთვის საქართველოში, 2021 წლის ანგარიში²

ანგარიში 2021 წლის განმავლობაში სხვადასხვა ჯგუფის უფლებრივ მდგომარეობას აფასებს. ანგარიშში ასახულია პანდემიის გავლენა ლგბტქი ადამიანების სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, კომო/ბი/ტრანსფობიური ძალადობა, გენდერის სამართლებრივი აღიარების საკითხი, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების რეალიზება (5 ივლისის კონტექსტში).

3. „კოალიცია თანასწორობისთვის“ საქმიანობის ანგარიში 2021

ანგარიში მოიცავს 2021 წლის განმავლობაში კოალიციის წევრების მიერ საერთო სასამართლოებსა და სახალხო დამცველის აპარატში „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით წარმოებული საქმეების შესახებ ინფორმაციას.

4. ეუთო/ოდირი

2022 წლის აპრილში ეუთო/ოდირს „თანასწორობის მოძრაობის“ მიერ 2021 წლის საანგარიში პერიოდში წარმოებული სიძულვილით მოტივირებული საქმეების შესახებ ინფორმაცია გაეგზავნა.

¹ <http://www.equalitycoalition.ge/article/95>

² <http://www.equalitycoalition.ge/article/96>

5. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ანგარიში

2022 წლის ივნისში გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტს 135-ე სესიის ფარგლებში ლგბტქი ადამიანების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ალტერნატიული ანგარიში წარედგინა. ანგარიში სახელმწიფოს მიერ გატარებულ ღონისძიებებს, სოგი-ს ნიშნით დისკრიმინაციის, სიძულვილის ენისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების პრაქტიკას, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების პრაქტიკას, გენდერული იდენტობის აღიარებასთან დაკავშირებულ საკითხებს, სოციალური უფლებების რეალიზების პრაქტიკას აფასებს.

ანგარიში მომზადდა ECOM-თან და „თბილისი პრაიდთან“ თანამშრომლობით.

6. Human Rights Council resolution on Cooperation with Georgia – Input

2022 წლის მაისში გაეროს ადამიანის უფლებების საბჭოს საქართველოს შესახებ ანგარიშის მოსამზადებლად ლგბტქი ადამიანების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ანგარიში გაეგზავნა. ანგარიშში განხილულია ჰომო/ბი/ტრანსფობიური სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე რეაგირების პრაქტიკა, ჰომოფობიის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზება და ულტრა-მემარჯვენე ჯგუფები, კოვიდ-19-ის პანდემიის გავლენა თემის უფლებრივ მდგომარეობაზე.

7. ევროკავშირთან დიალოგი

2022 წლის მაისი-ივნისის პერიოდში „ღია საზოგადოების ფონდის“ ინიციატივით პარტნიორ ორგანიზაციებთან ევროკავშირთან დიალოგის ფორმატის ფარგლებში ანგარიში მომზადდა. ანგარიში ფარავს 5-6 ივლისის მოვლენებს, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებს, ოჯახში ძალადობას, დისკრიმინაციას, გენდერის სამართლებრივ აღიარებასა და თვითიდენტიფიკაციაზე ხელმისაწვდომი მექანიზმების არარსებობას. ანგარიშის შესაბამისი თავი WISG-თან ერთად მომზადდა.

პოლიტიკის დოკუმენტები

1. გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია

2021 წლის დეკემბერში „თანასწორობის მოძრაობამ“ საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის სამუშაო დოკუმენტთან დაკავშირებით შენიშვნები/კომენტარები გაუგზავნა. საბოლოო დოკუმენტში შენიშვნები და კომენტარებით თითქმის უცვლელედ

ასახული. დოკუმენტი პირველად მოიცავს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხებს.

2. 2022-2032 წლების განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2021 წლის დეკემბერი-2022 წლის იანვარი-თებერვალი საანგარიშო პერიოდში „თანასწორობის მოძრაობამ“ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთიანი ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტთან დაკავშირებით მოსაზრებები წარუდგინა. რეკომენდაციების დიდი ნაწილი ანტიდისკრიმინაციული მექანიზმების შექმნას და ჰომო/ბი/ტრანსფობიური ბულინგის აღმოფხვრას ეთმობოდა. რეკომენდაციების განსახილველად სამინისტროსთან 3 სამუშაო შეხვედრა გაიმართა. სამინისტროსთან საბოლოო კომუნიკაციის შესაბამისად, სამომავლოდ თანასწორობისა და ინკლუზიურობის შესახებ პოლიტიკის დოკუმენტი შემუშავდება. „თანასწორობის მოძრაობა“ სამუშაო პროცესში ჩაერთვება.

3. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია. 2022 წლის აპრილში „თანასწორობის მოძრაობამ“ მთავრობის ადმინისტრაციას წინამდებარე დოკუმენტთან დაკავშირებით შენიშვნები/რეკომენდაციები წარუდგინა. რეკომენდაციები მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ოჯახში ძალადობის შემთხვევებში სოგი-ს ნიშნის გამოკვეთა, ლგბტქი სპეფიციკური სოციალური სერვისების უზრუნველყოფა, თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში სოგი-ს ნიშნით ძალადობის სტატისტიკის წარმოება და სხვა.

2022 წელს განხორციელებული პროექტების ანგარიშები

პროექტის დასახელება	ლგბტქი+ თემის გაძლიერება ინკლუზიური აღდგენისთვის
დონორი	National Democratic Institute (NDI)
საანგარიშო პერიოდი	11 თვე
ბიუჯეტი	171 260 ლარი
აქტივობებისა და ინდიკატორების აღწერა	<p>1. მტკიცებულებაზე დაფუძნებული ცოდნის შექმნა ლგბტქი თემის საჭიროებების შესახებ საქართველოში</p> <p>პროექტის ფარგლებში, „თანასწორობის მოძრაობამ“ განახორციელა „ლგბტქი თემის სოციალური და ეკონომიკური საჭიროებების კვლევა საქართველოში“. ანგარიშის ფარგლებში, მომზადდა სამაგიდო კვლევა, რომელიც მოიცავს, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების მიერ შექმნილი სტანდარტების მიმოხილვას, ასევე ეროვნული კანონმდებლობისა და პოლიტიკის ანალიზს ლგბტქი ადამიანების უფლებრივ მდგომარეობაზე გავლენის კუთხით. ანგარიშში ასევე წარმოდგენილია თვისებრივი კვლევის შედეგები, რომელზეც ორგანიზაციამ იმუშავა CRRC საქართველოსთან კოლაბორაციით. თვისებრივი კვლევა ყურადღებას ამახვილებს ლგბტქი თემის სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებებსა და სოციალური ექსკლუზიის გამომწვევ ფაქტორებზე. კვლევაში განხილულია შემდეგი საკითხები: ლგბტქი თემის გამოწვევები საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და შრომით ბაზარზე, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და ბარიერების ჯანდაცვის სერვისების მიღებისას, სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა, ოჯახთან ურთიერთობა და საცხოვრისის (თავშესაფრის) საკითხები. კვლევის ფარგლებში განხორციელდა 10 ფოკუს-ჯგუფი და 8 სიღრმისეული ინტერვიუ. კვლევის ფარგლებში შემუშავდა რელევანტური რეკომენდაციები შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისთვის, რათა</p>

ხელი შეეწყოს ლგბტქი ჯგუფის სოციალურ-ეკონომიკური მონაცვლადობის პრობლემატიკის შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და სამთავრობო უწყებების მხრიდან შესაბამისი პოლიტიკის მექანიზმების დანერგვასა და იმპლემენტაციას. კვლევის ანგარიშის ავტორია ლიკა ჯალაღანია. კვლევის ანგარიში ხელმისაწვდომია თანასწორობის მოძრაობის ელექტრონულ პლატფორმებზე, ქართულ და ინგლისურ ენებზე.

რაოდენობრივი ინდიკატორები: 2 ანგარიში ქართულ და ინგლისურ ენებზე; ანგარიშში გვერდების ოდენობა - 56; კვლევაში სულ მონაწილეობდა 67 რესპონდენტი;

2. კვლევის ანგარიშის პრეზენტაცია გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან და დაინტერესებულ მხარეებთან

კვლევის ანგარიშის პრეზენტაცია გაიმართა 2022 წლის 29 ივლისს „თანასწორობის მოძრაობის“ 11 წლის იუბილესთან დაკავშირებულ ოფიციალურ მიღებაზე. კვლევის პრეზენტაციის გარდა, ღონისძიება მოიცავდა დისკუსიას საქართველოში ლგბტქი თემის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. დისკუსიაში მონაწილეობას იღებდნენ:

- დავით კახაბერი, „თანასწორობის მოძრაობის“ აღმასრულებელი დირექტორი;
- თეონა ყუფუნია, დირექტორის მოადგილე, NDI Georgia;
- მარკ კლეიტონი, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში;
- მაიკლ ჰონიგშტაინი, აშშ-ის ელჩის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი საქართველოში;
- ეკატერინე სხილაძე, საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე.

ღონისძიებას ესწრებოდნენ „თანასწორობის მოძრაობის“ სტრატეგიული პარტნიორები, ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების, სახელმწიფო ინსტიტუტებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

რაოდენობრივი ინდიკატორები: შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო 6 მომხსენებელი; შეხვედრას ესწრებოდა 42 ადამიანი. კვლევის ანგარიშის მეორე პრეზენტაცია თემის წევრებისთვის გაიმართა 2022 წლის 31 ივლისს „თანასწორობის მოძრაობის“ 11 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამართულ წვეულებაზე, არათორმალურ გარემოში. ღონისძიებას ესწრებოდნენ ლგბტქი თემის წევრები, ორგანიზაციის სტრატეგიული პარტნიორები და თემის მხარდამჭერები.

- 3. **ლგბტქი თემის სოციალური და ეკონომიკური უფლებების ადვოკატირება**
 - **შეხვედრა გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსთან**

2022 წლის 14 ნოემბერს გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოს სხდომაზე ჩაინიშნა „თანასწორობის მოძრაობის“ მოსმენა. შეხვედრის ფარგლებში „თანასწორობის მოძრაობის“ წარმომადგენლებმა წარადგინეს დოკუმენტის „ლგბტქი თემის სოციალური და ეკონომიკური საჭიროებების კვლევა საქართველოში“ შედეგები და ისაუბრეს ლგბტქი თემის სოციალური და ეკონომიკური უფლებების განხორციელების ძირითად გამოწვევებზე. შეხვედრის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება იქნა გამახვილებული ლგბტქი თემის ჯანდაცვის უფლების განხორციელების პროცესში, პარლამენტის საზედამხედველო ფუნქციების გამოყენების მნიშვნელობაზე და განისაზღვრა საბჭოსა და „თანასწორობის მოძრაობას“ შორის თანამშრომლობის სამომავლო გეგმები.

- **საქართველოში მოქმედი ლგბტქი სათემო ორგანიზაციების ერთობლივი წერილი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში პრემიერ-მინისტრის მრჩეველს, ნიკო თათულაშვილს**

„თანასწორობის მოძრაობის“ კოორდინაციით, მომზადდა საქართველოში მოქმედი ლგბტქი სათემო ორგანიზაციების ერთობლივი წერილი, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში პრემიერ-მინისტრის მრჩეველის ნიკო

თათულაშვილის მიმართ. წერილის მეშვეობით, სათემო ორგანიზაციებმა შემფოთება გამოთქვეს ერთი მხრივ, ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის შინაარსის მიმართ, რომელიც ყურადღებას არ ამახვილებს ლგბტქი საკითხებზე და ინდიფერენტულად არის განწყობილი მოწყვლადი ჯგუფების მიმართ. ხოლო, მეორე მხრივ, გააკრიტიკეს დოკუმენტის მომზადების ფორმატი, რომელიც არ ითვალისწინებდა სათემო ორგანიზაციების ჩართულობასა და ინკლუზიურობის პრინციპის დაცვის სხვა პარამეტრებს. წერილის ფარგლებში, სათემო ორგანიზაციებმა თხოვნით მიმართეს პრემიერის მრჩეველსა და ადმინისტრაციას, სამომავლოდ უზრუნველყოს საქართველოში მოქმედი ლგბტქი სათემო ორგანიზაციების ჩართულობა სტრატეგიით გათვალისწინებული დოკუმენტების, განსაკუთრებით კი, ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში, როგორც დოკუმენტთან დაკავშირებული წინადადებების მიღების, ამათან, შეხვედრებისა და დისკუსიების საშუალებით.

4. ვორკუპში: „სიღარიბე და ჰომოფობია: ლგბტქი თემის სოციალური და ეკონომიკური უფლებების განხორციელება საქართველოში“

2022 წლის 25-27 ნოემბერს „თანასწორობის მოძრაობამ“ გამართა ვორკუპი „სიღარიბე და ჰომოფობია: ლგბტქი თემის სოციალური და ეკონომიკური უფლებების განხორციელება საქართველოში. ვორკუპში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოში მოქმედი ლგბტქი სათემო ორგანიზაციებისა და თემის მხარდამჭერი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ვორკუპის მიზანი იყო ლგბტქი თემის სოციალური და ეკონომიკური უფლებების განხორციელების კუთხით ეროვნული კანონმდებლობისა და სამთავრობო პოლიტიკის ხარვეზების შეფასება და ადვოკატირების ნაცადი პრაქტიკებისა და სამომავლო პერსპექტივების მიმოხილვა. ვორკუპის ფარგლებში განხილული იქნა შემდეგი საკითხები:

- სოციალური და ეკონომიკური უფლებების განხორციელება საქართველოში: კანონმდებლობა და პრაქტიკა;
- სიღარიბესა და ჰომოფობიას შორის არსებული კავშირები: ლგბტქი აქტივიზმის შესაძლებლობები საქართველოში;
- შრომის უფლება და დასაქმების პერსპექტივები ლგბტქი თემის წევრებისთვის;
- განათლების უფლების განხორციელებასთან დაკავშირებული გამოწვევები;
- ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის სერვისებზე ლგბტქი თემის წევრებისთვის;
- უფლება საცხოვრისზე: თავშესაფრის საკითხი.

რაოდენობრივი ინდიკატორები: ვორკშოპის ფარგლებში სულ წარმოდგენილი იყო 4 პანელი; ვორკშოპზე წარმოდგენილი იყო 8 მომხსენებელი; ვორკშოპში მონაწილეობას იღებდა სულ 25 ადამიანი;

5. ვიდეო კამპანია ლგბტქი თემის სოციალური და ეკონომიკური საჭიროებების შესახებ

„თანასწორობის მოძრაობის“ კომუნიკაციების გუნდმა შეიმუშავა ლგბტქი თემის სოციალური და ეკონომიკური საჭიროებებისა და სოციალური ექსკლუზიის გამომწვევი ფაქტორების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული კამპანიის კონცეფცია. კამპანიის შინაარსობრივი კონცეფცია და ძირითადი მესიჯები ეყრდნობა „ლგბტქი თემის სოციალური და ეკონომიკური საჭიროებების კვლევას საქართველოში“.

კამპანიის ფარგლებში, მომზადდა 3 ვიდეო რგოლი და 1 (შემაჯამებელი) სოციალური რეკლამის ტიპის საინფორმაციო მასალა. ვიდეო რგოლები ყურადღებას ამახვილებს სიღარიბესა და ჰომოფობიას შორის არსებულ კავშირებზე, ლგბტქი თემის წევრების შრომის უფლების განხორციელების ხარვეზებზე, ჯანდაცვის სერვისებზე (განსაკუთრებით, ტრანს ჯანდაცვის) ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ

	<p>პრობლემებსა და საგანმანათლებლო სივრცეებში არსებულ დისკრიმინაციულ გარემოზე.</p> <p>რაოდენობრივი ინდიკატორები: 3 ვიდეო - ხანგრძლივობა 90 წმ; 1 სოციალური რეკლამა - ხანგრძლივობა 30 წმ.</p>
--	--

პროექტის დასახელება	გაერთიანება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ: ლგბტქი თემის წინააღმდეგ ძალადობის დაძლევა აღმოსავლეთ ევროპასა და კავკასიაში
დონორი	Stonewall
საანგარიშო პერიოდი	1 იანვარი, 2022 – 10 დეკემბერი, 2022
ბიუჯეტი	421 120 ლარი
აქტივობებისა და ინდიკატორების აღწერა	<p>1. მრგვალი მაგიდა</p> <p>2022 წლის 6 ივნისს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების თემაზე მრგვალი მაგიდა ჩატარდა. შეხვედრაზე მომხსენებლებად მონაწილე იყვნენ ხათუნა კვიციანი (საქართველოს პარლამენტი), ქეთი შუბაშვილი (სახალხო დამცველის აპარატი), მარიამ თუთბერიძე (ევროპის საბჭო), ლელა აქიაშვილი (გაეროს განვითარების პროგრამა). შეხვედრას ადამიანი ლგბტქი სათემო და ადამიანის უფლებებზე მომუშავე პარტნიორი ორგანიზაციების 16 წარმომადგენელი ესწრებოდა.</p> <p>2. Stonewall-ის ჯგუფის ვიზიტი</p> <p>14-16 სექტემბერს თბილისში სამუშაო ვიზიტით Stonewall-ის ჯგუფი ჩამოვიდა. ვიზიტი მიზნად ისახავდა „თანასწორობის მოძრაობის“ საქმიანობის, მიმდინარე პროექტების და თანამშრომლობის გაცნობას. ვიზიტის ფარგლებში სამუშაო შეხვედრები გაიმართა საქართველოში გაერთიანებული სამეფოს საელჩოსთან, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წარმომადგენლებთან, ადგილობრივ ლგბტქი ორგანიზაციებთან (თემიდა, ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი, თბილისი პრაიდი), პლატფორმა „სალამთან“, UNDP-სთან.</p>

	<p>3. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების დოკუმენტირების პლატფორმა</p> <p>საანგარიშო პერიოდში Stonewall-ის პროექტში დაგეგმილი პლატფორმაზე მუშაობის პირველი ეტაპი დასრულდა. ბაზრის კვლევის ჩატარების შედეგად, „თანასწორობის მოძრაობამ“ დონორისთვის ბიუჯეტის პროექტი მოამზადა. 2022 წლის 2 ნოემბერს ვებ.დეველოპერის შესარჩევად კონკურსი გამოცხადდა. კონკურსის შედეგად 6 პოტენციური კანდიდატი გამოვლინდა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ბიუჯეტის დამტკიცების პროცესი.</p> <p>პლატფორმის შინაარსობრივი ნაწილის დაწერაში ჩართულები იქნებიან პარტნიორი ორგანიზაციები, აგრეთვე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წარმომადგენლები.</p> <p>4. ტრენინგები პოლიციელებთან/გამომძიებლებთან</p> <p>პროექტის ფარგლებში იგეგმება ტრენინგების ჩატარება პოლიციელებსა და გამომძიებლებთან. ტრენინგები ჩატარდება ჰიბრიდულ ფორმატში, რომელიც ერთ ნაწილსაც შსს-ს ტრენინგები, ხოლო მეორე ნაწილს „თანასწორობის მოძრაობის“ იურისტი და სოციალური მუშაკი გაუძღვებიან.</p> <p>ტრენინგებთან დაკავშირებით პირველი კომუნიკაცია უკვე შედგა შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტთან. პირველი ტრენინგი პოლიციელებთან ჩატარდება 2022 წლის დეკემბრის ბოლოს ან 2023 წლის იანვრის დასაწყისში (თარიღი შეირჩევა შსს-თან შეთანხმებით)</p>
--	---

პროექტის დასახელება	ახალი შესაძლებლობები ლგბტქი დღისწესრიგისთვის საქართველოში
დონორი	ნიდერლანდების სამეფოს საელჩო საქართველოში
საანგარიშო პერიოდი	01.06.2021 – 31.07.2022
ბიუჯეტი	256 000 ლარი
აქტივობებისა და ინდიკატორების აღწერა	<p>ლგბტქი საკითხების მედია დაფარვის გაუმჯობესება 2022 წელს აღნიშნული პროექტის ფარგლებში „თანასწორობის მოძრაობამ“ მოამზადა კვლევა, რომლის შედეგებზე დაფუძნებითაც შეიმუშავა ლგბტქი საკითხების გაშუქების შესახებ ტრენინგ-მოდული. მოდულის გამოყენებით ორგანიზაციამ გასვლითი ტრენინგი ჩაატარა ტელევიზიების უურნალისტებისთვის.</p> <p>ამასთან, ორგანიზაციამ დააფინანსა ორი აკადემიური კურსი უურნალისტის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის კავკასიის მედია სკოლასა და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში (GIPA). დაფინანსებული კურსების ფარგლებში შერჩეულ სტუდენტებზე გაიყა ერთჯერადი სტიპენდიები და მათი კვლევები წარდგენილი იყო „თანასწორობის მოძრაობის“ მიერ ორგანიზებულ სტუდენტურ კონფერენციაზე.</p> <p>„თანასწორობის მოძრაობამ“ შექმნა და საკუთარ სოციალურ ქსელებში განათავსა ორი გრაფიკული ვიდეო ლგბტქი ადამიანების მედია გაშუქებასთან დაკავშირებით.</p> <p>ლგბტქი-მეგობრული ჯანდაცვის ხელშეწყობა „თანასწორობის მოძრაობის“ დაკვეთით შეიქმნა კვლევა პირველადი ჯანდაცვის რგოლის ექიმების დამოკიდებულებებზე ლგბტქი ადამიანების მიმართ. კვლევაზე დაფუძნებით შეიქმნა ტრენინგ მოდული, რომლის მიხედვითაც გასვლითი შეხვედრის ფარგლებში მოხდა ექიმების გადამზადება.</p> <p>შეიქმნა ორი ვიდეო რგოლი ტრანს-ჯანდაცვის საჭიროებებზე და განთავსდა ორგანიზაციის სოციალურ ქსელებში.</p> <p>კონფერენცია: „ლგბტქი უფლებები ეროვნულ და რეგიონულ კონტექსტში“ აღნიშნული აქტივობის ფარგლებში ორგანიზაციამ ჩაატარა მასშტაბური კონფერენცია, რომელიც ოთხი პანელისგან შედგებოდა. კონფერენციის მომხსენებლები იყვნენ, როგორც დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, ასევე ადგილობრივი და რეგიონული ორგანიზაციების</p>

	<p>წარმომადგენლები. ამავე კონფერენციის ფარგლებში, ერთ პანელი დაეთმო უკრაინელი, რუსი და ბელორუსი აქტივისტების მოხსენებებს, რომლებმაც ილაპარაკეს ლგბტქი უფლებების შესახებ ომის კონტექსტში.</p>
--	--

პროექტის დასახელება	თანასწორობის მოძრაობა ძლიერი ლგბტქ თემისთვის
დონორი	ღია საზოგადოების ფონდი (Open Society Foundation)
საანგარიშო პერიოდი	01.01.2022-10.12.2022
ბიუჯეტი	213 500 ლარი
აქტივობებისა და ინდიკატორების აღწერა	<p>პოლიტიკური ადვოკატირების გეგმა</p> <p>“თანასწორობის მოძრაობამ” ნატი გელოვანთან თანამშრომლობის შედეგად შეიმუშავა პოლიტიკური ადვოკატირების გეგმა. საჯარო კონკურსის გზით შერჩეულმა სპეციალისტმა აღნიშნული დოკუმენტზე მუშაობისას შეხვედრები გამართა “თანასწორობის მოძრაობის” თანამშრომლებთან, ორი შეხვედრა გაიმართა ორგანიზაციის გამგეობის წევრებსა და პროექტების მენეჯრებთან, რათა განგვეხილა ის საკითხები, რომლებიც დგას ორგანიზაციის წინაშე პროექტული საჭიროებებიდან გამომდინარე. სამი შეხვედრა გაიმართა თემის წევრებთან: ერთი შეხვედრა გეი/მსმ თემის წევრებთან, ერთი შეხვედრა ლესბოსელ ქალებთან და ერთი შეხვედრა ტრანს ქალებთან. შეხვედრებს სულ დაესწრო თემის 15 წევრი. ძირითადი საკითხები, რაც ჩვენს ბენეფიციარებთან, ერთად განვიხილეთ, შეეხებოდა იმას, თუ რაზე უნდა მუშაობდეს ორგანიზაცია უფრო აქტიურად, რა მიმართულებით არის საჭირო ორგანიზაციული ძალისხმევის მიმართვა. სპეციალისტმა შეხვედრები გამართა ლგბტქ სათემო ორგანიზაციებთან “ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის”, “ქვიარ ასოციაცია თემიდას” და “იდენტობა იუსის” წარმომადგენლებთან. ამ შეხვედრებზე ვისაუბრეთ თანამშრომლობის მომავალ პერსპექტივებზე ადვოკატირების მიმართულებით.</p> <p>ორგანიზაციის სტრუქტურული განვითარება</p>

“თანასწორობის მოძრაობამ” ქრისტიანე კანდელაკთან ერთად შეიმუშავა ორგანიზაციული განვითარების გეგმა. ორგანიზაციული განვითარების გეგმა ექსპერტმა შეიმუშავა ორგანიზაციის თანამშრომლებთან ერთად. 13-14 ივლისს გაიმართა შეხვედრა თანამშრომლებთან, სადაც ექსპერტი გაეცნო თანამშრომლების ხედვას ორგანიზაციულ დაყოფასთან დაკავშირებით, ვიმსჯელებთ ორგანიზაციაში მიმდინარე პროექტების საქმიანობის შესახებ. შედეგად, დოკუმენტზე მუშაობა დასრულდა სექტემბრის თვეში. სტრუქტურული განვითარების გეგმის მიზანია, თანასწორობის მოძრაობაში გამოიყოს პროგრამული მიმართულებები, რათა უფრო მოქნილი გახდეს “თანასწორობის მოძრაობის” ორგანიზაციული სტრუქტურა.

ლგბტ სათემო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

წელს, თანასწორობის მოძრაობამ პარტნიორ ლგბტქ სათემო ორგანიზაციებთან, „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერ ჯგუფთან“, „იდეიტობა იუსთან“ და „ქვიარ ასოციაცია - თემიდასთან“, ერთად გამართა 5 შეხვედრა, სადაც ვიმსჯელებთ ორგანიზაციების წინაშე არსებულ გამოწვევებზე. სათემო ორგანიზაციებმა შევამუშავეთ თანამშრომლობის მემორანდუმი, სადაც გაინერა თანამშრომლობის პრინციპები და შევთანხმდით, რომ შეიქმნება სათემო ორგანიზაციების პლატფორმა, რომლის ფარგლებშიც ორგანიზაციები სისტემატურად შევხვდებით ჩვენს წინაშე არსებულ გამოწვევებზე სასაუბროდ. პლატფორმის მიზანია, რომ გააძლიეროს კონსოლიდაცია ლგბტქ სათემო ორგანიზაციებს შორის. საერთო პლატფორმის შექმნის შედეგად, სათემო ორგანიზაციები უფრო წარმატებულად შეძლებენ საერთო საქმეების მართვას, ბენეფიციარების საჭირო სერვისებით მხარდაჭერას. ასევე, უფრო კოორდინირებული იქნებიან იმ საკანონმდებლო ცვლილებების მომზადებაზე, რომელიც სათემო ორგანიზაციების დღის წესრიგში დადგება. პლატფორმის მიზანია, რომ სათემო ორგანიზაციებს ჰქონდეთ მუდმივი კომუნიკაცია ერთმანეთთან, რათა ჩვენს წინაშე დაგროვილი

პრობლემები სისტემატურად განვიხილოთ და შევიმუშაოთ მათზე ეფექტური გამკლავების გზები.

კონფერენცია “ლგბტ თემის უფლებრივი მდგომარეობა ეროვნულ და რეგიონულ ჭრილში”

კონფერენციაზე მონვეული იყვნენ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების წარმომადგენლები, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ვისაუბრეთ ლგბტქი თემი წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ და დავსახეთ სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები. სტუმრებს სიტყვით მიმართეს “თანასწორობის მოძრაობის” აღმასრულებელმა დირექტორმა დავით კახაბერმა; ნიდერლანდების ელჩმა მააიკე ვან კოლდამმა; ამერიკის ელჩის მოადგილე რაიან პარკერ ჰარისმა; ევროსაბჭოს ელჩმა ნატალია ვუტოვამ და ნიკ ბერესფორდმა, UNDP-ის მუდმივმა წარმომადგენელმა საქართველოში. სათემო ორგანიზაციებიდან “თანასწორობის მოძრაობის” გარდა წარმოდგენილი იყვნენ “ქალთა ინიციატივების მხარდაჭერი ჯგუფი”, “იდენტობა იუსი” და “ქვიარ ასოციაცია - თემიდა”. ორგანიზაციებმა ყურადღება გაამახვილეს ლგბტქი თემის წინაშე არსებული სოციალური ეკონომიკური გამოწვევების შესახებ. განსაკუთრებული აქცენტი დაისვა ტრანს ჯანდაცვისა და გენდერის სამართლებრივი აღიარების საკითხებზე. სახალხო დამცველის ოფისის თანასწორობის დეპარტამენტის უფროსმა ქეთი შუბაშვილმა ისაუბრა სამართლებრივ ბარიერებზე, რომელთა გამოც ლგბტქი თემის წარმომადგენლები სახალხო დამცველის ოფისს მიმართავენ. კონფერენციაზე შევეხეთ ხილვადობის პოლიტიკას, ამ კუთხით არსებულ გამოწვევებს და გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების წინაშე მდგარ წინააღობებს, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან ბრძოლას და ჩვენს საქმიანობას.

კონფერენციაზე თავისი მოსაზრებები გამოთქევს “სოლიდარობის თემის” წარმომადგენელმა, თორნიკე აბულაძემ, რომელმაც მიმოიხილა მათი ორგანიზაციის მიერ ახლად ჩატარებული კვლევა და მაღალმთიან აჭარაში ქვიარ თემის წევრების წინაშე არსებული გამოწვევები, ხოლო რაჰიბ საიდლმა ისაუბრა საქართველოს აზერბაიჯანულ თემში არსებული გამოწვევები ჰომოფობიის მიმართულებით და ის სოციალური ფაქტორები, რაც ლგბტქი თემის წევრების ინტეგრაციას ხელს უშლის. ასევე, ისაუბრეს ბელარუსიელმა და რუსმა უფლებადამცველებმა, თავიანთ ქვეყნებში არსებულ მდგომარეობაზე და მიგრაციის ტალღებზე რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ ომის დაწყების შემდეგ.

აღნიშნული შეხვედრა წარმატებული მცდელობა იყო, რომ ლგბტქი სათემო ორგანიზაციებს საკუთარი საქმიანობა გაეცნოთ დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის, ესაუბრათ გამოწვევების შესახებ და გაერთიანებულიყვნენ ჰომოფობიის წინააღმდეგ.

ვიდეოები სოციალური ქსელებისთვის

საანგარიშო პერიოდში “თანასწორობის მოძრაობამ” გამოაქვეყნა 10 ვიდეო სოციალურ ქსელში „ტიკტოკი“.

“თანასწორობის მოძრაობის” არხის გამომწერები არიან ახალგაზრდები. ამიტომაც ვიდეოები შედარებით სახალისო და იუმორისტული ფორმითაა შექმნილი, რათა უფრო მეტად მისაღები ყოფილიყო აღნიშნული სოციალური ქსელების აუდიტორიისთვის.

შემოქმედებით გაერთიანება „სპექტრთან“ თანამშრომლობა
„თანასწორობის მოძრაობა“ ფინანსურად მხარს უჭერს სახელოვნებო გაერთიანება „სპექტრს. ინიციატივის მიზანია, რომ საქართველოს სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში ჰომოფობიისა და სექსიზმის გამოწვევების აისახოს

	<p>სახელოვნებო ენით, რომელიც ღია, გასაგები და ხელმისაწვდომია საზოგადოების ფართო ფენებისთვის.</p>
--	--

პროექტის დასახელება	ორგანიზაციული უსაფრთხოების გაძლიერება
დონორი	სამოქალაქო უფლებების დამცველები Civil Rights Defenders
საანგარიშო პერიოდი	28.02.2022 – 10.12.2022
ბიუჯეტი	43 284 ლარი
აქტივობებისა და ინდიკატორების აღწერა	<ul style="list-style-type: none"> • ორგანიზაციული უსაფრთხოების პროტოკოლის შემუშავებამდე, დადგინდა უსაფრთხოების 3 მიმართულებით, რომელიც უნდა მოეცვა მოცემულ დოკუმენტს • ორგანიზაციული უსაფრთხოების პროტოკოლის შესამუშავებლად შერჩეულ იქნა 2 ექსპერტი, მათ შორის ერთი ოფისისა და ფიზიკური უსაფრთხოების, ხოლო მეორე კიბერ უსაფრთხოების მიმართულებით • ექსპერტების მიერ ჩატარდა კიბერუსაფრთხოების და ოფისის აუდიტი • ექსპერტების მიერ გაკეთდა საჭიროებების კვლევა, რომლის საფუძველზე შემუშავდა ორგანიზაციული უსაფრთხოების პროცედურები (SOP) შემდეგ საკითხებზე: <ul style="list-style-type: none"> • ოფისის უსაფრთხოება • საველე უსაფრთხოება • მაღალი რისკის ლოკაციაზე მუშაობა • ოფისის ფიზიკური უსაფრთხოება • უსაფრთხოების ინციდენტები • თანამშრომლების აყვანა და წასვლა ორგანიზაციიდან • საგანგებო კონტაქტები • საოფისე სივრცის აუდიტი • კიბერუსაფრთხოების ინციდენტები

	<ul style="list-style-type: none">• ორგანიზაციული უსაფრთხოების პროტოკოლის მაქსიმალურად ადაპტირების მიზნით, ექსპერტების მიერ ჩატარდა ვორქშოფი თანამშრომლებთან• თანამშრომლებისთვის ჩატარდა კიბერუსაფრთხოების საბაზისო ტრენინგი• ექსპერტების მიერ HR მენეჯერისთვის ჩატარდა ტრენინგი ორგანიზაციული უსაფრთხოების პროტოკოლის მონიტორინგის განსახორციელებლად• თანამშრომლებისთვის ჩატარდა შეხვედრა, რომლის ფარგლებში მათ გაეცნოთ უსაფრთხოების პროტოკოლი და პროცედურები (SOP)
--	---

პროექტის დასახელება	ჟურნალი „ეგალიტე“
დონორი	ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო
საანგარიშო პერიოდი	1.01.2022 – 20.10.2022
ბიუჯეტი	25 800 ლარი
აქტივობებისა და ინდიკატორების აღწერა	<p>„ეგალიტე“ „თანასწორობის მოძრაობის“ მიერ გამოცემული ჟურნალია, რომელიც მიზნად ისახავს ქვიარ და ფემინისტური საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლებას. ჟურნალის პირველი ნომერი, 2019 წელს გამოიცა და ქვიარ ახალგაზრდების გამოწვევებს, საჭიროებებსა და გამოსავლების ძიებას დაეთმო. 2022 წელს ორგანიზაციამ, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის მხარდაჭერით, ჟურნალის მეორე ნომერი გამოსცა, რომლის მთავარი თემაა „ქვიარ უტოპია“. ნომრის შექმნაზე 15 ავტორმა და 4 ფოტოგრაფმა იმუშავეს. ჟურნალში შესულია, როგორც აკადემიური და ანალიტიკური სტატიები, ასევე, უფრო არაფორმალური ხასიათის ლიტერატურა, როგორცაა ბლოგები, ჩანახატები, მოთხრობები და ა.შ.</p> <p>ეგალიტეს მეორე ნომერი, 1100 ეგზემპლარად გამოიცა და მისი 4 პრეზენტაცია ჩატარდა. პრეზენტაციებს ჯამში 90 ადამიანი დაესწრო.</p>

პროექტის დასახელება	ლგბტ ადამიანების ადამიანთა უფლებების გაუმჯობესება საქართველოში
დონორი	RFSU - The National Association for Sexual Education
საანგარიშო პერიოდი	1.01.2022 – 30.11.2022
ბიუჯეტი	453 830 ლარი
აქტივობებისა და ინდიკატორების აღწერა	<p>2022 წლის განმავლობაში, ორგანიზაციამ განია სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის, ფსიქიატრისა და იურისტების სერვისები. სოციალურმა მუშაკებმა 231 თემის წევრს გაუწიეს სერვისი. ფსიქოლოგებმა მიიღეს 86 ადამიანი და ჯამურად ჩაატარეს 811 სესია. ფსიქიატრებთან გადამისამართდა 32 ადამიანი და ჯამში გაეწია 196 კონსულტაცია. იურისტებს 126 ადამიანმა მიმართა და ამჟამად ორგანიზაციაში 156 მიმდინარე საქმე იწარმოება.</p> <p>ქვიარ აკადემია პროექტი „ქვიარ აკადემია“ მიზნად ისახავდა თემის წევრების პოლიტიკური გაძლიერებას. პროექტის დასაწყისში, სხვადასხვა სპეციალისტთან კონსულტაციის შედეგად, პროექტის გუნდმა შეადგინა ლექციების სილაბუსი, რომელიც მოიცავდა პოლიტიკური იდეოლოგიების კომპლექსურ ანალიზს და ასევე, ყურადღებას ამახვილებდა მათი თანაკვეთაზე ლგბტქ+ თემის წევრების უფლებებთან. პროექტის შედეგად ჩატარდა 8 ლექცია, 2 ვორქშოპი და ერთი არათორმალური შეხვედრა. პროექტს დაესწრო 20 ადამიანი. პროექტის შედეგად შეიქმნა 8 პოდკასტი, რომელიც მიზნად ისახავს ლექციების შინაარსის ფართო აუდიტორიასთან გაზიარებას. ამავე დროს, აღნიშნული პოდკასტები იქნება შემდეგ „ქვიარ აკადემიაზე“ დასწრების წინაპირობა.</p> <p>ქვიარ-ფემინისტური საზატეხულო სკოლა ქვიარ-ფემინისტური საზატეხულო სკოლა დაორგანიზდა ქალთა ინიციატივების მხარდამჭერ ჯგუფთან ერთად. პროექტის მთავარი მიზანი იყო ახალგაზრდების ცნობიერების გაზრდა ქვიარ-ფემინიზმსა და სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე. პროექტის სამიზნე აუდიტორია იყვნენ 18-30</p>

წლამდე ახალგაზრდა ლგბტქ+ თემის წევრები, რომლებსაც არ ჰქონდათ აქტივიზმისა და ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გამოცდილება.

პროექტის პირველ ეტაპზე, ორგანიზაციებმა აარჩიეს სამი ტრენერი, რომლებმაც იმუშავეს ტრენინგის ორი მოდულის შექმნაზე. ესენია: ქვიარ-ფემინისტური აზრის განვითარება და სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები. პირველი მოდულის მიზანი იყო ქვიარ ფემინისტური თეორიების განვითარების განხილვა დასავლეთში და საქართველოში, ხოლო მეორე მოდულის მიზანი იყო SRHR-ზე, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ცოდნის გაზიარება და ამ საკითხების ფემინიზმთან და ქვიარ თეორიასთან კავშირის გამოაშკარავება.

86 ადამიანმა შეავსო აპლიკაცია პროექტში მონაწილეობის მისაღებად. შესარჩევმა კომისიამ 20 ადამიანი აირჩია ტრენინგზე დასასწრებად. პროექტის შედეგად, 19 ახალგაზრდა აქტივისტი დაესწრო 5 დღიან ტრენინგს.

ორგანიზაციის დაბადების დღე:

პროექტის ფარგლებში ჩატარდა ორგანიზაციის დაბადების დღე, რომლის მთავარი მიზანი იყო, თემის წევრებთან ორგანიზაციის საქმიანობის განხილვა და ორგანიზაციის პოლიტიკური დოკუმენტის გაცნობა.

სათემო შეხვედრები ლბტ ქალებთან

წლის განმავლობაში, ორგანიზაციამ დააორგანიზა 15 სათემო შეხვედრა ლბტ ქალებთან. შეხვედრების მიზანია უსაფრთხო სივრცის შექმნა ქალებისთვის და მათი ჩართულობის გაზრდა ქვიარ მოძრაობაში. შეხვედრების შინაარსი და თემები მრავალფეროვანი იყო, მათ შორის შეხვედრებზე განხილული იყო ისეთი საკითხები, როგორიცაა ტრანსფობია, ფემინიზმი, ქვიარ ქალების ინიციატივები, გამთლიანების პრაქტიკები და ა.შ.

ბლოგები

2022 წლის განმავლობაში, სულ დაიწერა 15 ბლოგი, ხოლო, გამოქვეყნდა 13 ბლოგი. ერთი ბლოგი დაიდო ორ ენაზე - ქართული და აზერბაიჯანული.

გამოქვეყნებულ ბლოგებს 15 556 ჯამური ნახვა ჰქონდა.

	ითარგმნა ქვიარ-ფემინისტური 4 სტატია
--	-------------------------------------

<p>პროექტის დასახელება</p>	<p>აივ ინფექცია/შიდსის პრევენცია და შემთხვევების გამოვლენა ლგბტ თემში</p>
<p>დონორი</p>	<p>აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) მიერ დაფინანსებული „საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა“ პროგრამა</p>
<p>საანგარიშო პერიოდი</p>	<ul style="list-style-type: none"> • 01.01.2022 – 30.06.2022 • 05.07.2022 – 31.12.2022
<p>ბიუჯეტი</p>	<ul style="list-style-type: none"> • 253 700 ლარი • 254 000 ლარი • სულ: 507 700 ლარი
<p>აქტივობებისა და ინდიკატორების აღწერა</p>	<p>ჯამურად წლის განმავლობაში:</p> <p>პროექტი ხორციელდება საქართველოს 5 ქალაქში: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ზუგდიდი, თელავი.</p> <p>მ. შ. ქ. თბილისში და სუბ-კონტრაქტორი ორგანიზაცია „იდენტობას“ ქ. ქუთაისის და ქ. ბათუმის რესურს-ცენტრების ბაზაზე ხელმისაწვდომია პროექტის ფარგლებში არსებული ყველა სერვისი: ნკტ აივ-სა და სხვა სკვი-ებზე (როგორც სტანდარტული მიმდინარეობის ტესტირება, ისე თვით-ტესტირება), სათემო შეხვედრები, ფსიქოკონსულტირება და ფსიქოთერაპია, სოციალური მუშაკის კონსულტაცია.</p> <p>ქ. თბილისში დამატებით ხელმისაწვდომია ექიმი სპეციალისტების (თერაპევტი, ფსიქიატრი, ნარკოლოგი/ადიქტოლოგი) კონსულტაცია და იურისტის კონსულტაცია.</p> <p>ქ. ზუგდიდსა და ქ. თელავში დასაქმებულები არიან სათემო ოფიცრები, რომლებიც ბენეფიციარებს უზრუნველყოფენ მინიმალური, საბაზისო პრევენციული პაკეტითა და აივ-ის თვით-ტესტით.</p> <ul style="list-style-type: none"> • მინიმალური, საბაზისო პრევენციული პაკეტით (კონდომები, ლუბრიკანტები, საკომუნიკაციო მასალები) უზრუნველყოფილი ბენეფიციარები - 4314 (კუმულაციურად 2022 წლის 1 იანვრიდან - 30 ნოემბრის პერიოდში)

	<ul style="list-style-type: none"> • აივ-სა და სხვა სგვი-ებზე (სიფილისი და ვირუსული ჰეპატიტები - B და C) ნებაყოფლობითი კონსულტირებითა და ტესტირებით უზრუნველყოფილი ბენეფიციარები - 3577, მ. შ 38 საეჭვოდ დადებითი შედეგი (კუმულაციურად 2022 წლის 1 იანვრიდან - 30 ნოემბრის პერიოდში) • საკომუნიკაციო მასალები (სტიკერები) მსმ პოპულაციისთვის, აივ დადებითი მსმ პოპულაციისთვის და აივ დადებითი ტრანსგენდერი პოპულაციისთვის - 10 (კუმულაციურად 2022 წლის 1 იანვრიდან - 30 ნოემბრის პერიოდში) • საინფორმაციო შეხვედრები მსმ პოპულაციასთან, აივ დადებით მსმ პოპულაციასთან და აივ დადებითი ტრანსგენდერი პოპულაციასთან და ზიანის შემცირების მიზნით, ფსიქოაქტიური ნივთიერებების მომხმარებელ მსმ პოპულაციასთან - 37 (კუმულაციურად 2022 წლის 1 იანვრიდან - 30 ნოემბრის პერიოდში) • სოციალური მუშაკის კონსულტაცია - 301 (კუმულაციურად 2022 წლის 1 იანვრიდან - 30 ნოემბრის პერიოდში) • ფსიქოკონსულტირება და ფსიქოთერაპია - 124 (კუმულაციურად 2022 წლის 1 იანვრიდან - 30 ნოემბრის პერიოდში) • ექიმი თერაპევტის კონსულტაცია - 10 (კუმულაციურად 2022 წლის 1 იანვრიდან - 30 ნოემბრის პერიოდში) • ექიმი ფსიქიატრის კონსულტაცია - 105 (კუმულაციურად 2022 წლის 1 იანვრიდან - 30 ნოემბრის პერიოდში) • ექიმი ნარკოლოგი/ადიქტოლოგის კონსულტაცია - 11 (კუმულაციურად 2022 წლის 1 იანვრიდან - 30 ნოემბრის პერიოდში)
--	---

პროექტის დასახელება	აივ ინფექციის პრე-ექსპოზიციური პროფილაქტიკური მკურნალობა (PrEP) მამაკაცებში, რომელთაც სექსი აქვთ მამაკაცებთან, ტრანსგენდერ ქალებსა და მათ პარტნიორებში
დონორი	„შიდსთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდი“
საანგარიშო პერიოდი	01.01.2022-30.11.2022
ბიუჯეტი	75 000. 00 ლარი
აქტივობებისა და ინდიკატორების აღწერა	<p>2022 წლის 01 იანვრიდან 2022 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით</p> <p>პროგრამაში ჯამურად ჩართულია 1173 ადამიანი.</p> <p>2022 წელს შემუშავდა 2 ტიპის ბეჭდური საინფორმაციო მასალა, ახალ ზელანდიურ ორგანიზაცია Burnett Foundation Aotearoa-სთან თანამშრომლობით. ამასთან, შეიქმნა 5 ტიპის ციფრული მასალა და განთავსდა სოც. ქსელებში.</p>

პროექტის დასახელება	აივ ინფექცია / შიდსის საკვანძო პოპულაციებისთვის აივ-ზე თვითტესტირების მომსახურების და აივ-პრევენციული პაკეტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა Covid-19 პანდემიის პირობებში
დონორი	შიდსთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდი
საანგარიშო პერიოდი	01.01.2022 – 31.12.2022
ბიუჯეტი	129,350 ლარი
აქტივობებისა და ინდიკატორების აღწერა	<p>1.1 თებერვლის თვეში პროექტის განმავლობაში დაკონტრაქტდნენ სათემო ოფიცრები საქართველოს 7 ქალაქში (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი, ზუგდიდი, გორი, თელავი), ჩაუტარდათ საჭირო ტრენინგი ონლაინ და გაეგზავნათ პროექტის განხორციელებისთვის საჭირო პრევენციული საშუალებები. საქართველოს 4 ქალაქში (ხაშურში, მარნეულში, ფოთსა და სენაკში) შეკვეთა იგზავნება თბილისიდან ფოსტის მეშვეობით.</p> <p>1.2 სადისტრიბუციო მასალის შექმნა</p> <p>იანვარში შეიქმნა 2100 ცალი შესაფუთი სადისტრიბუციო მასალა (ბალიში), საიდანაც 100 ცალი გადაეცა „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელს“.</p> <p>ნოემბერში შეიქმნა 1600 ერთეული სადისტრიბუციო შესაფუთი ყუთი პლატფორმა Selftest.ge-სთვის.</p> <p>2.1 მასალების შემუშავება და დამზადება</p> <p>იანვარში დამზადდა 4000 ერთეული საინფორმაციო მასალა, საიდანაც 1000-1000 გადაეცა „თანადგომასა“ და „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელს“. აგრეთვე, მოგვიანებით, ივლისის დასაწყისში დამზადდა დამატებით 500 ერთეული საინფორმაციო ფლაერი „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელისათვის“</p>

ნოემბერში შეიქმნა 100 ერთეული საინფორმაციო სავიზიტო ბარათი

2.2 მასალების შემუშავება და დამზადება/ბანერი

იანვარში დამზადდა ორი ცალი საინფორმაციო ბანერი, რომელიც განთავსდა Selftest.ge-ზე

2.3 ვიდეორგოლი

თებერვალში დამზადდა თვითტესტირების შესახებ საინფორმაციო ანიმაციური ვიდეორგოლი, რომელიც განთავსდა სამიზნე პოპულაციებისთვის პოპულარულ საიტებზე თუ სოც. ქსელებში. ანალოგიური სახის მეორე საინფორმაციო ვიდეორგოლი კი დამზადდა აგვისტოში.

2.4 მასალების გავრცელება

პროექტის განმავლობაში აღნიშნული აქტივობა განხორციელდა რამდენჯერმე:

1. თვითტესტირებაზე საინფორმაციო სახის ანიმაციური ვიდეორგოლი დარეკლამდა ფეისბუქზე,
2. საინფორმაციო სახის 2 პოსტი განთავსდა მამაკაცების დახურულ ფეისბუქ-ჯგუფში.
3. დამზადდა 2 ცალი ტიკ-ტოკ ვიდეორგოლი და მიმდინარე კვირაში იგეგმება ფეისბუქ-ლაივის მეშვეობით დახურულ ჯგუფში პლატფორმისა და აივ/შიდსის პრევენციის შესახებ ინფორმაციის გავრცელება.
4. დარეკლამდა საინფორმაციო სახის ვიდეორგოლი, რომელიც ატვირთული იყო ორგანიზაციის ინსტაგრამზე.

3.1 ერთიანი პლატფორმის გაფართოება/განახლება


აქტივობის ფარგლებში დამზადდა და განახლდა პლატფორმა Selftest.ge. აქტივობის ფარგლებში (ბიუჯეტის ამ ლაინიდან) აგრეთვე დაკონტრაქტდნენ ფოტოგრაფი და მოდელეები ფოტოსესიისათვის და მთარგმნელი ტექსტის გადასათარგმნად.

3.2 კონსულტირების მოდულის გაფართოება/განახლება

	<p>აღნიშნული აქტივობა ებმოდა 3.1-ს და მოიცავდა ე.წ. Toolkit-ის შექმნას, რომელიც ასევე არის განთავსებული სელფტესტზე. Toolkit აერთიანებს ყველა იმ საჭირო „ხელსაწყოს“, რომელიც არის დაკავშირებული აივ ინფექციასთან თუ სხვა საჭირო სერვისთან. მაგალითად: რისკის შეფასების კალკულატორი სარისკო ქცევის მიხედვით აფასებს რისკებს. სერვისების რუკაზე ბენეფიციარს შეუძლია საჭირო სერვისები მოიძიოს ქალაქების მიხედვით და ა.შ.</p> <p>3.3 ჩეტბოტის დამზადება და ამოქმედება</p> <p>აღნიშნული აქტივობის ფარგლებში დამზადდა ჩეტბოტი, რომელიც წინასწარ მომზადებულ პასუხებს სცემს ბენეფიციარებს, ან შესაბამისი ორგანიზაციის კონსულტანტთან ამისამართებს ჩატში.</p> <p>12 დეკემბრის მონაცემებით პრევენციული პაკეტებით (აივ ინფექცია/შიდსის ნერწყვის სწრაფი ტესტი, კონდომები, ლუბრიკანტები) მოხდა 1630 ბენეფიციარის უზრუნველყოფა.</p> <p>სულ გაიცა: 1630 აივ ინფექცია/შიდსის ნერწყვის სწრაფი ტესტი 22095 მამაკაცის სტანდარტული ანალური კონდომი 15860 მამაკაცის ორალური კონდომი 6356 ლუბრიკანტის 20მლ. ტუბი</p>
--	---

პროექტის დასახელება	აივ ინფექციის პრევენციის ინოვაციური სერვისების საპილოტე მოდელის შემუშავება და დანერგვა, მიმართული ლგბტ+ თემზე, რომელიც მოიცავს PrEP, nPEP და თვითტესტირების სერვისებს
დონორი	Médecins du Monde
საანგარიშო პერიოდი	01/01/2022 - 30/11/2022
ბიუჯეტი	48 660 ლარი
აქტივობებისა და ინდიკატორების აღწერა	<p>აივ/შიდსისა და ზიანის შემცირების (უსაფრთხო ინტრავენური და სტიმულატორების მოხმარებისთვის საჭირო ნაკრები) კომბინირებული პაკეტი - „ქიმსექსის კიტი“ გაიცა 70 ბენეფიციარზე ივნისი - ნოემბრის პერიოდში.</p> <p>1. შემუშავდა და გაიცემა აივ/შიდსისა და ზიანის შემცირების (უსაფრთხო ინტრავენური და სტიმულატორების მოხმარებისთვის საჭირო ნაკრები) კომბინირებული პაკეტი - „ქიმსექსის კიტი“, რომელიც მოიცავს შემდგომ მასალას:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ აივ/შიდსის თვითტესტი ➤ კონდომები და ლუბრიკანტები ➤ მოსაწვევი მილი ➤ ფოლგა ➤ შესაყნოსი მილი ➤ სავიზიტო ბარათი - ლაინერი ➤ შესაყნოსი დასახვევი მილი ➤ ნიტრილის ხელთათმანი (ფისტინგის პრაქტიკაში ჩართული ბენეფიციარებისათვის) ➤ საინექციო შპრიცები: 1 მლ.; 2 მლ.; 3 მლ.; 5 მლ.; 10 მლ.; 20 მლ. ➤ პეპლები: G23; G25 G27. ➤ ნემსები: G23; G25 ➤ სპირტიანი ტამპონი ➤ საინექციო წყალი ➤ უგუტი ➤ ნალოქსონი ➤ საინფორმაციო მასალა ➤ სტიკერები

	<p>პაკეტი გაიცემა, როგორც თანასწორობის მოძრაობის ოფისში, ასევე მისი გამონერა შესაძლებელია პლატფორმიდან - selftest.ge</p> <p>პაკეტში შემავალი მასალის ნაწილი ხდება ხელმისაწვდომი ქვიარ სივრცეებსა და ივენთებზეც.</p> <ol style="list-style-type: none"> 2. შემუშავდა და დაიბეჭდა ქიმსეფსის ბუკლეტი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე: ფსიქოაქტიური ნივთიერები - მათი ზოგადი და გვერდითი ეფექტები და ზედოზირების მართვა; ინექციურ მოხმარებასთან დაკავშირებული ზიანის შემამცირებელი ინფორმაცია; რისკის შემცველი სქესობრივი პრაქტიკებისა და მათი პრევენციის შესახებ ინფორმაცია; ფსიქოაქტიური ნივთიერებების, მათ შორის სქესობრივ კონტექსტში მოხმარებასთან დაკავშირებული ძალადობის, ფსიქიკური ჯანმრთელობისა და სოციალური ცხოვრების შესახებ ინფორმაცია. 3. შემუშავდა და დაიბეჭდა უსაფრთხო ანალური ჰიგიენის შესახებ საინფორმაციო მასალა. 4. შემუშავდა და დაიბეჭდა PEP-ის (პოსტ-ექსპოზიციური პროფილაქტიკა) შესახებ ბროშურა. 5. შემუშავდა პოსტ-ექსპოზიციური პროფილაქტიკისათვის (PEP) ყოვლისმომცველი პროტოკოლი. პროტოკოლი აერთიანებს PrEP-სა და PEP-ს და მოიცავს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხებს. 6. შემუშავდა და დაიბეჭდა PEP პროგრამაში ჩართული ბენეფიციარისათვის სამახსოვრო ბარათი. 7. საპილოტედ ჩაეშვა ინდექსური ტესტირების მოდელი. 8. ჩატარდა სამი საინფორმაციო შეხვედრა, სადაც მოცული იყო შემდეგი საკითხები: 1. ზიანის შემცირების სერვისები; 2. ინტიმური ჰიგიენა: აივ ინფექციასთან ასოცირებული რისკები და პრევენცია; 3. ფსიქოაქტიური ნივთიერებები: კონტექსტი, რისკები და ზიანის შემცირება.
--	---



თბილისი
2022